



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

N 2-45
14/03/2018

45-07-4-201803141718



ცაგერის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის
კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ცაგერის მუნიციპალიტეტში სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის
კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - ავთანდილ უგრეხელიძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის
თავმჯდომარე;
 - რომან გოგიძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე;
 - დავით გვიშანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის
წევრი.
 - მამუკა ლეთოდიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-
საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
 - სოფიო გვიშანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და
ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
 - თენგიზ მეშველიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის-
კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის
ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
 - ნუგზარ ტვილდიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის-
კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის
ხელმძღვანელის მოადგილე, კომისიის მდივანი.
 - დავით ჩიქოვანი - II სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების
უფროსი - კომისიის წევრი;
 - ლია კენჭუაშვილი II სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის დაგეგმარების,
ფორმირებისა და ხაზინის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის N2-178 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში ასათიანის ქ. # 14

ავთანდილ უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

